გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## საზოგადოებრივი ჯანდაცვა

## შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 15 იანვარი, 2019 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი - 15 თებერვალი, 2019 წ.

თბილისი
2019 წ.

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | კავკასიის უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი - 0904 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120/122 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ გაიხარაშვილი, პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლელა სტურუა, დაავადებათა კონტროლისა სა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ცოტნე სამადაშვილი, ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარიამ თევზაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტები დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სიღრმისეულ, თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს, განუვითარდეთ ამ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგემვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი. პროგრამა 120-122 კრედიტიანია (ECTS სისტემის შესაბამისად). 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს, რომელიც მოიცავს მაგისტრანტის როგორც საკონტაქტო დატვირთვის (ლექცია, სემინარი, პრაქტიკა და სხვა), ასევე დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილ დროს. პროგრამა გათვლილია სწავლების 2 წელზე, 4 სემესტრზე. კრედიტების მოცულობა თითოეულ სემესტრში - 30/31, წელიწადში - 60/61-ია. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი. სწავლების ენა - ქართული. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია დარგობრივი სავალდებულო (68 კრედიტის მოცულობით) და არჩევითი (28-30 კრედიტის მოცულობით, შეთავაზებული 64-დან) სასწავლო კურსებით, ასევე მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს 6 კრედიტის მოცულობით და სამაგისტრო კვლევით ნაშრომს, 18 კრედიტის მოცულობით.
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა ფუნქციონირებს 2011 წლის 16 მაისიდან (N01/05-105). მისი ბოლო აკრედიტაცია განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2014 წლის 10 თებერვალს (გადაწყვეტილება N32). განვლილ პერიოდში პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2019 წლის 15 იანვარს შპს „კავკასიის უნივერსიტეტში" შედგა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (თამარ გაიხარაშვილი - თავმჯდომარე, ლელა სტურუა - წევრი, ცოტნე სამადაშვილი - წევრი, მარიამ თევზაძე - წევრი) ვიზიტი, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. 14 იანვარს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შედგა ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლებთან განსახილველი საკითხების გარშემო დასასმელი შეკითხვები. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი, კერძოდ დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, პერსონალის სამუშაო სივრცეები, ბიბლიოთეკა და სხვა. წინასწარ დადგენილი

დღის წესრიგის შესაბამისად ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის სასწავლო დარგში ვიცე-პრეზიდენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორთან, მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანთან, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეხედულებების და ძირითადი მიგნებების მათთვის გაზიარების მიზნით. შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში და ჰქონდა თანამშრომლობითი ხასიათი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა

- შესაბამისობაშია პირველ სტანდარტთან;
- მეტწილად შესაბამისობაშია მე-2 სტანდარტთან;
- შესაბამისობაშია მე-3 სტანდარტთან;
- შესაბამისობაშია მე-4 სტანდარტთან;
- შესაბამისობაშია მე-5 სტანდარტთან

- **რეკომენდაციები**

1.2 უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამიზნე ნიშნულები, სწავლის შედეგებთან მიმართებაში და ამის შესაბამისად განახორციელოს მონიტორინგი წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.
2.2 სასურველია პროგრამის დასახელების გადახედვა - „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა“ ნაცვლად „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა“
2.3 სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურის გამდიდრება და განახლება
2.4 პრაქტიკის სილაბუსი მოითხოვს დაზუსტებას როგორც დასახელების, ასევე შინაარსის თვალსაზრისით
4.1 აფილირების არსი და პირობები, მისი პრიორიტეტები ვფიქრობთ უკეთესად უნდა იყოს ახსნილი აკადემიური პერსონალისთვის, რაც როგორც თავად უნივერსიტეტის ასევე პროგრამის მდგრადობას განაპირობებს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.2 სასურველია გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმა და გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება.
3.1 სასურველია თუ პროგრამაში აქცენტი გაკეთდება კვლევებსა და კონფერენციებში სტუდენტების მეტად ჩართულობაზე. აღნიშნული გააღრმავებს მათ ინტერესს, მონაწილეობა

მიიღონ გაცვლით პროგრამებში და უზრუნველყოფს ამ კუთხით მეტი მრავალფეროვნების შექმნას, რათა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა გააკეთოს არჩევანი, თუ რომელი პროგრამით სურს ჩაერთოს საერთაშორისო მობილობაში.
4.2 უმჯობესია პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის დარგში არსებული საერთაშორისო გამოცდილების მეტი გაზიარება და ადგილზე მონახულება (გაცვლითი პროგრამები). მეტ საერთაშორისო პროექტში ჩართვა, რაც აკადემიური პერსონალისთვის და ასევე სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვინაიდან დარგში ეროვნული ლიტერატურის დეფიციტია, უმჯობესია ამ მიმართულების განვითარება, ვინაიდან პროგრამაში ჩართულაკადემიურ პერსონალს გააჩნია ამის პოტენციალი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია „მაგისტრანტები დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სიღრმისეულ, თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს, განუვითარდეთ ამ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგემვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისთვის ჯანდაცვის სისტემების პოლიტიკის, ეკონომიკის და მარკეტინგის თანამედროვე, ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის მისაცემად. შეძენილი ცოდნა და უნარები კურსდამთავრებულს მისცემს საშუალებას დაგეგმოს და განახორციელოს კვლევები ჯანდაცვის სექტორში, როგორც მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, ასევე მთლიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად პროგრამის მიზნები ასახავს რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის ის მიმართული.<br>○ პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიასა და მიზნებს.<br>○ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები, ასევე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები, რომლის ანალიზს უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐*შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამა მიმართულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებით მოღვაწეობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის კვალიფიკაცია. პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურისთვის დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე, 6 ზოგადი კომპეტენციის მიხედვით და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი ცოდნისა და უნარების განვითარებას, ასევე უზრუნველყოფს განათლების შემდეგ საფეხურზე, დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. უნივერსიტეტში დადგენილი მექანიზმების შესაბამისად პროგრამის შემუშავებაში და მის შემდგომ განვითარებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა.
- უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ამ

მიზნით უნივერსიტეტი იკვლევს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების დონეს, კურსდამთავრებულებით დამსაქმებელთა კმაყოფილების დონეს, სტუდენტთა კამყოფილებისა და სტუდენტთა დასაქმებულობის დონეს.

- უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს კვლევას კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების მაჩვენებლების გამოსავლენად. აღნიშნულ პროგრამას ამ ეტაპზე ჰყავს 4 კურსდამთავრებული და ყველა მათგანი დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამისად.
- სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგის მიზნით სკოლა იყენებს სტუდენტთა შეფასების შედეგებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში არ არის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, შესაბამისად რთული იქნება შედეგების მიღწევის სრულფასოვანი მონიტორინგის განხორციელება. ამ მიმართულებით პროგრამა საჭიროებს დახვეწას და განვითარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამიზნე ნიშნულები, სწავლის თითოეულ შედეგთან მიმართებაში და ამის შესაბამისად განახორციელოს მონიტორინგი წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐*მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდები და გაიარა გასაუბრება უნივერსიტეტში.<br>○ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრატურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს მაგისტრანტობის კანდიდატს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად.<br>○ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა, დადასტურებული დიპლომის დანართით, წარმოდგენილი ენის სერტიფიკატით (IELTS – 6.5ქულა, TOEFL – 90 ქულა) ან შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებით.<br>○ მაგისტრატურაში ჩარიცხვა წარმოებს წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტიგენტის ფარგლებში, კონკურსის წესით.<br>○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები საჯაროა, ინფორმაცია კი ხელმისაწვდომი. |

| |
|---|
| |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ მაგისტრატურის დებულება<br>○ ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან<br>○ უნივერსიტეტის ვებ.გვერდი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ ***შესაბამისობაშია მოთხოვნებთან***<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების (დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების) წესის შესაბამისად.<br>○ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120-122 კრედიტს ECTS სისტემის შესაბამისად. 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს, რომელიც მაგისტრანტის როგორც საკონტაქტო დატვირთვისთვის (ლექცია, სემინარი, პრაქტიკა და სხვა), ასევე დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დროა. პროგრამა გათვლილია სწავლების 2 წელზე, 4 სემესტრზე. კრედიტების მოცულობა თითოეულ სემესტრში - 30/31, წელიწადში - 60/61-ია. პროგრამა წარმოდგენილია დარგობრივი სავალდებულო (68 კრედიტის მოცულობით) და არჩევითი (28-30 კრედიტის მოცულობით, შეთავაზებული 64-დან) სასწავლო კურსებით, ასევე მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს 6 კრედიტის მოცულობით და სამაგისტრო კვლევით ნაშრომს, 18 კრედიტის მოცულობით.<br>○ პროგრამის სათაური არ არის შესაბამისი, უნდა იყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობა.<br>○ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების სამაგისტრო დონეს. პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია გულისხმობს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებას. კერძოდ, ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, დემონსტრირება, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ.<br>კურიკულუმი ასახავს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიზნებს. სპეციალიზაციის სფეროები საშუალებას აძლევს სტუდენტებს აითვისონ დამატებითი კომპეტენციები და უნარები. საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნებას.<br>პროგრამის განვითარებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე სტუდენტების ჩათვლით.<br>მიუხედავად ამისა, არსებობს გასაუმჯობესებელი სფეროები, რაც პირველ რიგში ეხება სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელს. სასურველია გაიზარდოს მაგისტრანტების კვლევით აქტივობებში ჩართულობა და მიეცეთ მათ მონაცემთა რეალურ ბაზებზე წვდომის საშუალება. გადასახედია პროგრამის სასწავლო გეგმა რომლის მიხედვით სასწავლო კურსების - ჯანდაცვის სისტემებისა და დაფინანსების პოლიტიკა, ჯანდაცვის ეკონომიკა, დაავადებების მართვა სწავლება გათვალისწინებულია პირველ სემესტრში, მაშინ როდესაც ეპიდემიოლოგია და კვლევის მეთოდები ისაწვლება მომდევნო სემეტრებში, არადა სწორედ ეს საგნებია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საბაზისო საგნები. არ არის ნათლად ჩამოყალიბებული პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და |

| |
|---|
| მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები |
| **რეკომენდაციები:**<br>○ სასურველია პროგრამის დასახელების გადახედვა - „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა“ ნაცვლად „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა“ |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა<br>○ სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების გაძლიერება |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>***☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან***<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ სამაგისტრო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანამიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ერთეული შემთხვევების გარდა (მითითებულია 2.2. ქვესტანდარტში) ლოგიკურია.

○ თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა.

○ თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა, მინიჭებული კრედიტები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათები იძლევა სილაბუსით და შესაბამისად პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

○ სილაბუსებში მითითებულია როგორც სავალდებულო, ასევე დამხმარე ლიტერატურა. ზოგიერთი სახელმძღვანელო მოძველებულია და საჭიროებს ახალი გამოცემებით შევსებას, მაგალითად: WHO. The European health report 2015 (უკვე არსებობს European health report 2018), WHO. 2008-2013 Action Plan for the Global Strategyfor the Prevention and Control of Noncommunicable Diseases (უკვე არსებობს Global action plan for the prevention and control of noncommunicable diseases 2013-2020), WHO. European Status Report on Alcohol and Health 2015 (უკვე არსებობს Global status report on alcohol and health 2018), WHO REPORT ON THE GLOBAL TOBACCO EPIDEMIC, 2015 (უკვე არსებობს WHO report on the global tobacco epidemic 2018), WHO. Global status report on noncommunicable diseases 2015 (უკვე არსებობს NONCOMMUNICABLE DISEASES PROGRESS MONITOR 2017 და Noncommunicable diseases country profiles 2018), Ross C. Brownson; Elizabeth A.Baker; Terry L.Leet; Kathleen N.Gillespie; William R.True - "Evidence Based Public Health" Oxford University Press. Second Edition, 2011 (უკვე არსებობს Ross C. Brownson, Elizabeth A. Baker, Anjali D. Deshpande, and Kathleen N. Gillespie; Evidence-Based Public Health, Third Edition; 2017), Fletcher R.H, Fletcher S.W, Wagner EH; Clinical Epidemiology: the Essentials, Williams & Wilkins, 1996 (უკვე არსებობს Clinical epidemiology: the essentials; Robert H. Fletcher, Suzanne W. Fletcher, Grant S. Fletcher, 2014), Mental Health Policy and Practice across Europe The future direction of mental health care Edited by Martin Knapp, David McDaid, Elias Mossialos and Graham Thornicroft 2007 (უკვე არსებობს Comprehensive mental health action plan 2013–2020), სხვ. დამატებითი და დამხმარე სასწავლო მასალა სტუდენტებს მიეწოდებათ ელექტრონულად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ თვითშეფასების ანგარიში
○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურის გამდიდრება სხვა ავტორების ლიტერატურით, ახალი გამოცემებით, ასევე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების უახლესი ანგარიშებით განახლება; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐*მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ სტუდენტები ითვისებენ როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდებს და შეუძლიათ შეასრულონ აკადემიური ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომის სახით. საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში.<br>○ პროგრამა მოიცავს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს; პრაქტიკის განხორციელების მიზნით გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები რიგ |

| |
|---|
| დამსაქმებლებთან. კერძოდ როგორებიცაა:<br>• სსიპ „დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი“<br>• სსიპ“ სოციალური მომსახურების სააგენტო“<br>• სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო<br>• სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი<br>• სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი“<br>• შპს ,, ფსიკიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი”<br>• შპს“ კლინიკა ნეოლაბი“<br>• სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი<br>• შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“<br>○ პრაქტიკის კომპონენტს ხელმძღვანელობენ შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის წარმომადგენლები.<br>○ პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი მოითხოვს დაზუსტებას როგორც დასახელების, ასევე შინაარსის თვალსაზრისით. რეალურად გაუგებარია თუ როგორ ხდება პროფესიული პრაქტიკის შეფასება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები<br>○ სამაგისტრო ნაშრომები<br>○ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>პრაქტიკის სილაბუსი მოითხოვს დაზუსტებას როგორც დასახელების, ასევე შინაარსის თვალსაზრისით |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება** |

| |
|---|
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>*☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები ხორციელდება ლექციებისა და სემინარების ფორმატით. ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი.<br>○ სწავლა-სწავლების მეთოდები პროგრამის შემადგენელი სხვადასხვა კომპონენტისთვის განსხვავებულია, ითვალისწინებს და შეესაბამება მის სპეციფიკას.<br>○ გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, წერითი მუშაობის, დემონსტრირების, დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობის, შემთხვევის ანალიზი (Case study), როლური და სიტუაციური თამაშები, ახსნა–განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, ელექტრონული სწავლების (learning).<br>○ სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და სასწავლო კურსის შინაარსს. მათი ერთობლიობა იძლევა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში. |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐*შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ უნივერსიტეტში დანერგილია და წარმატებით გამოიყენება, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების შესაბამისად დადგენილი, სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების 100 ქულიანი სისტემა. 70 ქულა გათვალისწინებულია შუალედური შეფასებებისთვის, ხოლო 30 ქულა დასკვნითი შეფასებისთვის.<br>○ სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.<br>○ კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები ინფორმაციას ცოდნის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ იღებენ საგანმანათლებლო პროგრამიდან და სასწავლო კურსების სილაბუსებიდან, სემესტრის დასაწყისში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით. შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პედაგოგის მიერ.<br>○ სტუდენტს საშუალება აქვს თვალი ადევნოს მიმდინარე შეფასებებს, იქონიოს |

„ონლაინ“ კონტაქტი ლექტორთან და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე.

○ საგამოცდო პროცესის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა ხორციელდება მონიტორინგის დეპარტამენტის მეშვეობით. საგამოცდო ნაშრომები ანონიმურია; სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაასაჩივროს საკუთარი ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სამაგისტრო ნაშრომები
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐***შესაბამისობაშია მოთხოვნებთან***

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე. სტუდენტები მაქსიმალურად არიან ჩართული სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხში. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები ავსებენ ანონიმურ კითხვარს. გამოკითხვა მხოლოდ ფორმარულ სახეს არ ატარებს. მისი შედეგების საფუძველზე განხორციელდა არაერთი ცვლილება. მათ შორის, სტუდენტების მოთხოვნით, პროგრამის ფარგლებში გაიზარდა პრაქტიკის საათები. ცვლილებები შეეხო აკადემიურ პერსონალსაც, სტუდენტების აზრის განხილვის შემდეგ, რამდენიმე მათგანი სამსახურიდან განთავისუფლდა.<br>○ სტუდენტები იღებენ მაქსიმალურ და ამომწურავ ინფორმაციას სხვადასხვა ღონისძიებებისა თუ იმ ვაკანსიების შესახებ, რომელიც სჭირდებათ სამომავლო პროფესიული განვითარებისათვის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. საყურადრებოა ის ფაქტი, რომ სტუდენტები ფოსტის მომხმარებლები რჩებიან პროგრამის დასრულების შემდეგაც, რათა მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ უნივერისტეტთან.<br>○ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოხატონ ინტერესი და ჩაერთონ სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში და სხვადასხვა ღონისძიებაში. რამდენიმე მათგანი მონაწილეობდა კიდეც, შიდა საუნივერსიტეტო დონეზე დაგეგმილ კონფერენციაში. ასევე, ფლობენ ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული მრავალრიცხოვანი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების არსებობის შესახებ. ამ მიზნით უნივერსიტეტს მჭიდრო კონტაქტები აქვს Erasmus-სთან. წარმოდგენილი |

| |
|---|
| პროგრამის სტუდენტებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა ჯერ არ მიუღიათ პროგრამის ფარგლებში ასეთის არარსებობის გამო.<br>○ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვაში გათვალის-წინებულია საკონსულტაციო საათები სტუდენტებისათვის. ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ საკუნსულტაციო შეხვედრები პროგრამების ფარგლებში სისტემატურ ხასიათს ატარებს. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ ნებისმიერ სამუშაო დღეს, კონსულტაციებისათვის გამოყოფილი დროის ფარგლებში, მიმართონ მათ. ხოლო, ადმინისტრაციულ პერსონალთან შეხვედრა სემესტრში ორჯერ ოფიციალურ ხასიათს ატარებს, დანარჩენ შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ ინდივიდუალურად მიმართონ მათ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სასურველია თუ პროგრამაში აქცენტი გაკეთდება კვლევებსა და კონფერენციებში სტუდენტების მეტად ჩართულობაზე. აღნიშნული გააღრმავებს მათ ინტერესს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და უზრუნველყოფს ამ კუთხით მეტი მრვალფეროვნების შექმნას, რათა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა გააკეთოს არჩევანი, თუ რომელი პროგრამით სურს ჩაერთოს საერთაშორისო მობილობაში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>*☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
| --- |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) შეიძლება იყოს:<br>- უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ–პროფესორი;<br>- პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების შესაბამისი დარგის დოქტორი, მეცნიერ-მკვლევარი;<br>- შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი;<br>- დარგის სპეციალისტი.<br>○ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მაგისტრატურის დებულება განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) უფლება-მოვალეობებს და საქმიანობის წესს;<br>○ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს 4 კურსდამთავრებული. მათი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად შერჩეული იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის და კომპეტენციის მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ არსებულ საუნივერსიტეტო მოთხოვნებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ მაგისტრატურის დებულება<br>○ კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომები<br>○ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების პირადი საქმეები<br>○ ინტერვიუები სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და კურსდამთავრებულებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა |

| |
|---|
| აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐*შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო |

რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტი და 10 მოწვეული პედაგოგი. აკადემიური პერსონალი პროგრამაზე, შეირჩევა სწავლისა და სწავლების გამოცდილების, კვალიფიკაციის და კვლევის ინტერესების შესაბამისად. მოწვეული პერსონალისთვის კონტრაქტები ყოველ სემესტრში განახლდება და ხელფასები ეფუძნება საკონტაქტო საათებს. აკადემიური პერსონალი სიხარულს გამოთქვამს უმაღლეს სასწავლებელთან ასოცირებისათვის. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დებულება „აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის კონკურსის ჩატარების წესის შესახებ", თუმცა ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ არჩეული პერსონალის შერჩევის სისტემა არ არის ნათლად გამოხატული. პრაქტიკულ კომპონენტზე დასაქმებული აკადემიური პერსონალი, ძირითადად სხვა სამსახურებში მუშაობენ და ორმაგი კონტრაქტები აქვთ. პროფესორის კონტრაქტი 6 წლიანია, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების, ასისტენტის, ასევე აფილირებულ პერსონალის - 3 წლიანი. აკადემიურ და მოწვეულ სპეციალისტთა ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, ცოდნა, გამოცდილება, არსებულ პერსონალთან ერთად, უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავებას, შეფასებასა და განახლებას.
- ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, პერსონალი აფილირების შინაარსის, მისი დადებითი მხარეების შესახებ ნაკლებადაა ინფორმირებული.
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები გაწერილია და რეგულირდება სკოლის დებულებით. უნივერსიტეტის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას სამაგისტრო პროგრამასთან და ზოგადად სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. ისინი ეხმარებიან სტუდენტებს სწავლის პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- აკადემიური, აფილირებული, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კონტრაქტები
- საკონკურსო პირობები
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები

**რეკომენდაციები:**

აფილირების არსი და პირობები, მისი პრიორიტეტები ვფიქრობთ უკეთესად უნდა იყოს ახსნილი აკადემიური პერსონალისთვის, რაც როგორც თავად უნივერსიტეტის ასევე

| |
|---|
| პროგრამის მდგრადობას განაპირობებს. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>*☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
|---|
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის წამყვანი მენეჯმენტის გუნდი აქტიურად მუშაობენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებით განათლებისა და სწავლების პროცესებში, მათი კომპეტენციისა და შესაძლებლობების განვითარებაში, რადგან ისინი სწორად აფასებენ, რომ ეს არის ცალკე დისციპლინა. ამ მიზნით ისინი ჩართულნი არიან ეროვნულ ექსპერტებთან ერთად რათა გაითვალისწინონ სწავლისა და შეფასების მეთოდები.<br>○ უნივერსიტეტს გამოკვეთილი არ აქვს პერსონალის განვითარებისა და ხელშეწყობის სისტემა, თუმცა შეძლებისდაგვარდ ხელს უწყობს მათ წახალისებას და უცხოური გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობების გამოყენებას პერიოდული დაფინანსების |

სახით. ასევე ხელშეწყობილია წიგნების და მონოგრაფიების გამოცემა, კონფერენციების მოწყობა, მათზე დასწრება და პრეზენტაცია, სამეცნიერო გრანტების მოპოვება, გაცვლითი პროგრამები და სტუდენტების ჩართვა კვლევით პროექტებში. კოლეგებთან დისკუსიებმა ცხადყო, რომ არსებობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის განვითარების გეგმა, რასაც ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი, უნივერსიტეტის მენეჯმენტთან ერთად ხელს შეუწყობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევები
- ატვირთული ოქმები (3)
- პროგრამის ბიუჯეტი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უმჯობესია პროგრამაში ჩართული პერსონალისათვის დარგში არსებულ საერთაშორისო გამოცდილების მეტი გაზიარება და ადგილზე მონახულება (გაცვლითი პროგრამები). მეტ საერთაშორისო პროექტში ჩართვა, რაც აკადემიური პერსონალისთვის და ასევე სტუდენტებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვინაიდან დარგში ეროვნული ლიტერატურის დეფიციტია, უმჯობესია ამ მიმართულების განვითარება, ვინაიდან პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალს გააჩნია ამის პოტენციალი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐*შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

| |
|---|
| ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით. ლიტერატურა, მითითებული სილაბუსებში, ახალია და აკმაყოფილებს/უზრუნველყოფს, პროგრამის სრულყოფილ განხორციელებას და სწავლის შედეგებზე გასვლას. უნივერსიტეტს აქვს წვდომა ფართო საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე, რაზეც სტუდენტების და აკადემიური პერსონალის წვდომა უფასოა. საბიბლიოთეკო რესურსი, სასწავლო ოთახები და ინვენტარი, საინფორმაციო ტექნოლოგიების - კომპიუტერები, პრინტერი, სკანერის მიმართ წვდომა მარტივია და უფასო. უნივერსიტეტს აქვს ლიფტი და გათვალისწინებულია სივრცეები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები<br>○ გასაუბრება დაინტერესებულ პირებთან<br>○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი<br>○ პროგრამის ბიუჯეტი<br>○ ბიბლიოთეკის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება<br>○ გასაუბრება ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან<br>○ ხელშეკრულება შპს innovative systems management-თან |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐*შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამის ბიუჯეტი, მისი წარმოშობის წყარო, პროგრამის მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორები გაწერილია უნივერსიტეტის და პროგრამის ბიუჯეტში.<br>უნივერსიტეტის ბიუჯეტი შეიცავს პროგრამათა მდგრადობის განმაპირობებელ ფინანსურ დანაზოგს, რომელიც პრობლემის არსებობის პირობებში დაფარავს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უხარვეზოდ ჩატარებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების დოკუმენტი<br>• ინტერვიუს შედეგები<br>• უნივერსიტეტის ბიუჯეტი<br>• პროგრამის ბიუჯეტი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ |

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>*☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| |
|---|
| **5.1 შიდა ხარისხის შეფასება** |
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების |

| |
|---|
| ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ კავკასიის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, სწავლების, სწავლის და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც ფუნქციონირებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლის შესაბამისად. თითოეულ ეტაპზე უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების ჩართულობა. უნივერსიტეტს დადგენილი აქვს და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მისი შეფასების, განვითარების მიზნით მასში ცვლილებების შეტანის, ასევე პროგრამის გაუქმების წესი. ამ პროცესებში ჩართულები არიან აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. უნივერსიტეტში დანერგილია თვითშეფასების მექანიზმი, რომლის მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრა და პროგრამის შემდგომი განვითარება. ამ მიზნით იქმნება თვითშეფასების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, სკოლის დეკანი, სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო დეპარტამენტის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი, კარიერული განვითარებისა და დასაქმების სამსახურის უფროსი, ფინანსური ანალიზის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის დირექტორი. თვითშეფასების ჯგუფის მიერ სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი სუსტი მხარეების და შრომის ბაზარზე არსებული რეალობის გათვალისწინებით ხორციელდება პროგრამის მოდიფიცირება და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ კითხვარები<br>○ გამოკითხვის შედეგები<br>○ ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐*შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ გარე შეფასების მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახდენს ექსპერტთა რეკომენდაციების განზოგადებას და სკოლებისათვის მათ გაცნობას. რეკომენდაციების საფუძველზე ხდება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება აკრედიტაციის სტანდარტებთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით. გარდა ამისა სკოლა გარკვეული პერიოდულობით ანხორციელებს დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის განვითარებისა და მოდიფიცირებისთვის. ამ მიზნით 2018 წლის 30 აგვისტოს შედგა მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით დამსაქმებელს შორის შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლების მოსაზრებები და რეკომენდაციები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა ცნობადობის ამაღლებისა და შრომის ბაზარზე მოთხოვნადობის გაზრდის მიზნით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ დამსაქმებელსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის გამართული შეხვედრის ოქმი<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ |

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>*☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ მონიტორინგის მიზნით დაწესებულებაში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, მონაცემთა სისტემატური შეგროვების, დამუშავების და ანალიზის მეშვეობით. მონიტორინგის პროცესში ჩართულია როგორც სტუდენტი (გამოკითხვა ტარდება სემესტრში ერთხელ), ასევე პროგრამის განმახორციელებელი (აკადემიური, მოწვეული) და ადმინისტრაციული პერსონალი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი (გამოკითხვა ტარდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ). მათი გამოკითხვის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ შექმნილია სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ:<br>**აკადემიური პერსონალის კითხვარი** - რომლის შესაბამისად ტარდება აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა - უსდ-ში მიმდინარე პროცესების, ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, სასწავლო პროცესის |

|  |
| --- |
| ორგანიზების, ადმინისტრაციის დამოკიდებულების მათ მიმართ, აკადემიური და კვლევის ხელშეწყობის, ინტერნაციონალიზაციის პროცესების და სხვა აქტივობების მიმართულებით;<br>**სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი** - რომლის შესაბამისად ხდება სტუდენტის გამოკითხვა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის, სწავლების ხარისხის, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის, მატერიალურ-ტექნიკური, ელექტრონული და საბიბლიოთეკო რესურსების, სწავლის საფასურის, ექსტრაკურიკულური აქტივობების, საკონსულტაციო მომსახურების ხარისხისა და სხვა შესახებ:<br>**სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი** - რომლის მიხედვით ხორციელდება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ხარისხისა და მიმდინარეობის შესახებ;<br>**ლექტორის შეფასების სემესტრული კითხვარი** - რომლის მიხედვით ხდება ადმინისტრაციის მიერ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასება;<br>**მეცადინეობაზე დაკვირვების კითხვარი** - რომლის მიზანია სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა მისი საუნივერსიტეტო სივრცეში გაზიარების მიზნით;<br>**კურსდამთავრებულთა კითხვარი** - მათი გამოცდილების, შენიშვნების გათვალისწინებისა და შემდგომი დასაქმების, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესახებ ინფორმაციის მისაღებად;<br>**დოქტორანტის კითხვარი** - მიზნად ისახავს დოქტორანტთა კმაყოფილების კვლევას;<br>**დამსაქმებლის კითხვარი** - მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას დასაქმებულის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით.<br>○ დაინტერესებული მხარეების პროგრამის განვითარებაში ჩართვის მიზნით გაიმართა მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის წარმომადგენლების შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან (სტუდენტი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები), ასევე კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან. მათი მოსაზრებების გათვალისწინებით მოხდა პროგრამის მოდიფიკაცია და მასში განხორციელდა რიგი ცვლილებები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კითხვარები<br>○ გამოკითხვის შედეგები<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიშები<br>○ მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის ადმინისტრაციის და დაინტერესებული პირების შეხვედრების ოქმები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| --- |
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐*შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33 (ოცდაცამეტი)

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:</u>

თამარ გაიხარაშვილი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:</u>

ლელა სტურუა

ცოტნე სამადაშვილი

მარიამ თევზაძე